ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ 186

ქ.ლაგოდეხი 28.10.2016 წ.

მუხლი 1. ხელშეკრულების მხარეები

ერთის მხრივ ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის გამგეობა (შემდგომში „შემსყიდველი") გამგებლის კარლო ჯამბურიას სახით და მეორეს მხრივ ინდ. მეწარმე შალვა სულაშვილის (შემდგომში „მიმწოდებელი") სახით, ვხელმძღვანელობთ რა საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს N13 ბრძანებით დამტკიცებული "გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის მე-2 მუხლის ა) პუნქტის საფუძველზე, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას გამარტივებული შესყიდვით შემდეგზე:

მუხლი 2. ხელშეკრულების საგანი

ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს 2(ორი) ერთეული გაზის გამათბობელი FUJIYAMA FHS 7500 (ერთ. ღირებულება 530 ლარი) და 4(ოთხი) ერთეული გაზის გამათბობელი FERLINE DT - 5000 (ერთ. ღირებულება 460 ლარი)-ის მიწოდება თანმდევი მომსახურებით /CPV39721411/.

მუხლი 3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1. ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს 2900 /ორი ათას ცხრაასი/ ლარს.

მუხლი 4. შესყიდვის ობიექტის მიწოდების პირობები

4.1 საქონლის მიწოდების ვადაა - ხელშეკრულების გაფორმებიდან 10 კალენდარული დღე.

4.2 საქონლის მიწოდების ადგილი: ქ. ლაგოდეხი 26 მაისის ქ. N25, ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის გამგეობა.

მუხლი 5. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

შესყიდვის ობიექტის მიწოდება დასტურდება მიღება-ჩაბარების აქტით, რომელსაც ხელს აწერენ „შემსყიდველისა" და „მიმწოდებლის" საამისოდ უფლებამოსილი წარმომადგენლები „მიმწოდებლის" მხრიდან ინდ.მეწარმე შალვა სულაშვილი და „შემსყიდველის" მხრიდან ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის გამგებელი კარლო ჯამბურია.

მუხლი 6. შესყიდვის ობიექტის ხარისხი

6.1 „მიმწოდებელი" იძლევა გარანტიას, რომ შესყიდვის ობიექტის ხარისხი შეესაბამება ხელშეკრულების პირობებს და დააკმაყოფილებს „შემსყიდველი"-ს მიერ განსაზღვრულ მოთხოვნებს.

6.2 ხელშეკრულებით განსაზღვრულ საქონელზე გარანტია ვრცელდება მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან ერთი წლის განმავლობაში.

მუხლი 7. ანგარიშსწორების ფორმა

1. „მიმწოდებელთან" ანგარიშსწორება განხორციელდება ლარებში, მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 10(ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.
2. შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით.

მუხლი 8. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

1. **„შემსყიდველს" უფლება აქვს:**

ა) განახორციელოს კონტროლი „მიმწოდებლის" მიერ ხელშეკრულების პირობების დაცვაზე;

ბ) რაიმე წუნის აღმოჩენის შემთხვევაში დაუყოვნებლივ აცნობოს მიმწოდებელს წერილობითი ფორმით.

გ) მოითხოვოს ხელშეკრულების ვადამდე გაუქმება, თუ მიმწოდებელი არღვევს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებს.

2. „შემსყიდველი“ ვალდებულია:

გადაიხადოს შესყიდული საქონლის ღირებულება, რომელიც განსაზღვრულია ხელშეკრულების შესაბამისად;

3. „მიმწოდებელს“ უფლება აქვს:

ა) მოსთხოვოს „შემსყიდველს“ მიწოდებული საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.

ბ) მოითხოვოს ხელშეკრულების ვადამდე გაუქმება, თუ შემსყიდველი არღვევს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებს.

4. „მიმწოდებელი“ ვალდებულია:

ა) დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობები;

ბ) წუნის აღმოჩენის შემთხვევაში საკუთარი ხარჯით აღმოფხვრას იგი.

გ) მიწოდებული საქონლის ხარისხი პასუხობდეს ხელშეკრულების პირობებს და აკმაყოფილებს „შემსყიდველის“ მოთხოვნებს.

მუხლი 9. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების დარღვევისას

1. მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობა გამოიწვევს პასუხისმგებლობას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

2. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების ან მისი ნაწილის შეუსრულებლობის ან შესრულების ვადის გადაცილებისათვის დამრღვევ მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა – ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0,5%-ის ოდენობით.

3. საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

მუხლი 10. ხელშეკრულების მოქმედების ვადა და ხელშეკრულების პირობების გადასინჯვის შესაძლებლობა

1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერისთანავე და ძალაშია 2016 წლის 10 დეკემბრამდე.

2. წინამდებარე ხელშეკრულების პირობების, მათ შორის ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების საერთო ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები „შემსყიდველი“ ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

3. ფასების ცვლილებების შესახებ ხელშეკრულების მხარემ უნდა შეატყობინოს მეორე მხარეს წერილობით, რომელიც თავის მხრივ უფლებამოსილია არ დაეთანხმოს აღნიშნულ ცვლილებების.

მუხლი 11. ფორს-მაჟორი

1. მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთი ვალდებულებების სრულ ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ისეთი გარემოებით, როგორიცაა: ომი, ნებისმიერი ხასიათის საბრძოლო ან სამხედრო მოქმედებები, დივერსიები, სტიქიური მოვლენები, გაფიცვები, ხანძარი და სხვა გარემოებები, თუ ისინი უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე.

2. მხარე, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება, დაუყოვნებლივ აცნობებს ამის შესახებ მეორე მხარეს.

მუხლი 12. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

1. მხარეები ეცდებიან წინამდებარე ხელშეკრულების შესრულებისას წამოჭრილი ნებისმიერი დავა გადაჭრან მოლაპარაკებისა და შეთანხმებით გზით.

2. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, მხარეები მიმართავენ სასამართლოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 13. სხვა პირობები

1. წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობები რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით.

2. წინამდებარე ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილება ან დამატება საჭიროებს წერილობით ფორმას და ძალაში შედის მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერის შემდეგ.

3. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება ფორმდება ხელშეკრულების დანართის სახით და განიხილება მის განუყოფელ ნაწილად.

4. წინამდებარე ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მეორე მხარე უფლებამოსილია მთლიანად ან ნაწილობრივ შეწყვიტოს ხელშეკრულება დამრღვევი მხარისადმი წინასწარი წერილობითი შეტყობინების გაგზავნის შემდეგ.

5. ხელშეკრულების ცალკეული პირობების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მხარეებს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

6. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე 2 (ორი) ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

7. ისეთ შემთხვევებში, რომელიც არ არის გათვალისწინებული ამ ხელშეკრულებით, მხარეები ხელმძღვანელობენ საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით.

მუხლი 14. მხარეთა რეკვიზიტები

„შემსყიდველი“	„მიმწოდებელი“
ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის გამგეობა საიდენტიფიკაციო კოდი: 233144987 ლაგოდეხი, 26 მაისის ქ. №25 საბანკო რეკვიზიტები: სს „ლიბერთი ბანკი“ ბანკის კოდი: LBRTGE22 ანგ.№ GE37LBO120118067888000	ინდ.მეწარმე: შალვა სულაშვილი მის. ქ. ლაგოდეხი, ქიზიყის ქ.N18 „თიბისი ბანკი“ ბ.კ. TBCBGE22 საიდ.კოდი: 25001020062 ანგ. № GE92TB3855636010100020
კარლო ჯამბურია ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის გამგებელი	შალვა სულაშვილი ინდ.მეწარმე